ხელშეკრულება N35010401/156
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(45300000 – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები)

ქ. თბილისი

„10" „ოქტომბერი" 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გაიოზ თალაკვაძის სახით, შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი" (შემდგომში – „ცენტრი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ბოლქვაძის სახით, სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია" (შემდგომში – „აკადემია") წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის გურამ ალექსიძის სახით, რომლებიც ხელშეკრულებაში ერთობლივად იწოდებიან „შემსყიდველები" და მეორეს მხრივ, შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი" (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გვენეტაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA140021223** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (CPV კოდი 45300000) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტი (საგანია): ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის N51–ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, ამ ხელშეკრულებაზე, მის განუყოფელ ნაწილად დანართი N2 (ხარჯთაღრიცხვა N1, ხარჯთაღრიცხვა N2), გეგმა-გრაფიკის (დანართი N1) და ინფორმაცია საგარანტიო პირობების (დანართი N3) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 71 300 (სამოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარს. მათ შორის:

2.2.1.ერთობლივი შესყიდვის (გამაგრებითი–სარეკონსტრუქციო ნაწილში) დანართი N2 (ხარჯთაღრიცხვა N1) ღირებულება შეადგენს 9574 (ცხრა ათას ხუთასსამოცდათოთხმეტი) ლარს, რასაც თანაბრად აფინანსებენ „შემსყიდველები".

2.2.2. სარეზილიტაციო სამუშაოების დანართი N2 (ხარჯთაღრიცხვა N2) ღირებულება შეადგენს 61726 (სამოცდაერთი ათას შვიდასოცდაექვსი) ლარს, რასაც აფინანსებს „სააგენტო".

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები (მოსაკრებელი), რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ გასაწევი შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, დააკმაყოფილებს „შემსყიდველების" და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში მოქმედ სტანდარტებს და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და სხვა პირობები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაცია–სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულოს 50 (ორმოცდაათი) კალენდარულ დღეში.

4.2. შესყიდვის ობიექტის შესრულების ადგილია: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის N51.

4.3. სამუშაოთა შესრულება ხორციელდება გეგმა-გრაფიკისა (დანართი N1) და დანართი N2 (ხარჯთაღრიცხვა N1, ხარჯთაღრიცხვა N2) შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირობები მოცემულია დანართ N3–ში.

4.4. თუ აშკარაა, რომ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ვადები ირღვევა, „მიმწოდებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „შემსყიდველებს". ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განხორციელდეს 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაწევა. ვადის დარღვევის ობიექტური (საპატიო) მიზეზ(ებ)ის არარსებობის შემთხვევაში, „შემსყიდველები" უფლებამოსილნი არიან არ დაეთანხმონ ვადების გადაწევას; ამ შემთხვევაში „მიმწოდებელი" ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა დამატებითი ძალების